ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 595 71 02 00

N 44
30/08/2019

44-08-4-201908301440

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 1707.00 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.23.21.254) ს.ს. ,,ზოტი ჰიდრო"-სათვის (ს/კ - 404499654) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (სასყიდლიანი აღნაგობა) გადაცემასა და სარგებლობის უფლებით (სასყიდლიანი აღნაგობის) გადაცემისას ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-2 მუხლისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფ. ზოტის მიმდებარედ) ჰიდროელექტორსადგურების კასკადის მშენებლობის მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე მდებარე 1707.00 კვ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.23.21.254) ს.ს. ,,ზოტი ჰიდრო“-სათვის (ს/კ - 404499654) 50 (ორმოცდაათი) წლის ვადით პირდაპირი განკარგვის წესით საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე.

2. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 1707.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.23.21.254) სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის 800 (რვაასი) ლარის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა